საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს!

ლეჩხუმი

გაზეთი გამოდის 1933 წლის 10 მაისიდან

საქართველოს კომპარტიის ცაგერის რაიონული კომიტეტისა და ცაგერის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს ორგანო
«ЛЕЧХУМИ» — Орган Цагерского райкома Компартии Грузии и Цагерского районного народных депутатов

№45-46 (6272) შაბათი 14 აპრილი 1990 წელი ფასი 3 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორ გავიხარე, როცა გავიგე ცაგერის რაიონულ გაზეთს „ლეჩხუმი“ დაერქვა და მით უმეტეს [illegible] აქვს ალტერნატიული ჩანართი. დიდი სიყვარულით [illegible] ლოცავთ ჩემო ლეჩხუმელებო ასეთ პრაქტიკულ ნაბიჯს ჩვენი სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის გზაზე. გფარავდეთ ღმერთი და დიდი ილიას სული.

ჯუმბერ კოპალიანი,

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიული ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი, ილია ჭავჭავაძის საზოგადოების გამგეობის წევრი.

გამოქვეყნდა სკკპ ახალი წესდების პროექტი

გაზეთმა „პრავდამ“, „სოვეტსკაია როსიამ“, „სელსკაია ჟიზნმა“, „რაბოჩაია ტრიბუნამ“, რესპუბლიკურმა, სამხარეო და საოლქო გაზეთებმა გამოაქვეყნეს სკკპ ახალი წესდების პროექტი. როგორც ცნობილია, ეს დოკუმენტი განიხილა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა და ძირითადად მოიწონა. სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დავალებით ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ და სარედაქციო კომისიამ დაამუშავეს იგი და დაუგზავნეს ცენტრალური კომიტეტის წევრებს, აგრეთვე რესპუბლიკური, სამხარეო და საოლქო პარტიული კომიტეტების მდივნებს. მათ მიერ გამოგზავნილი შენიშვნები გაითვალისწინეს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, ნათქვამია სკკპ ახალი წესდების პროექტის შესავალ ნაწილში, თანამოაზრე კომუნისტთა თვითმართვადი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაცია, ნებაყოფლობითი გაერთიანებაა. ეყრდნობა რა მარქსის, ენგელსის, ლენინის იდეების შემოქმედებით განვითარებას, ხელმძღვანელობს კომუნისტური პერსპექტივებით, იგი თავის მიზნად ისახავს ქვეყანაში ჰუმანური, დემოკრატიული სოციალიზმის შექმნას, ინტერნაციონალიზმის, ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა დამკვიდრებას. სკკპ ეყრდნობა მუშათა კლასის, ყველა მშრომელის სოციალურ არჩევანს, გამოხატავს და იცავს ხალხთა ინტერესებს, იღვწის თავის პოლიტიკურ პლატფორმაზე მრავალეროვანი საბჭოთა საზოგადოების კონსოლიდაციისათვის.

წესდების პროექტი შეიცავს 38 პარაგრაფს, რომლებიც გაერთიანებულია ექვს კარად,—„საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრობა“, „შინაპარტიული დემოკრატია“, „პარტიის ორგანიზაციული წყობა“, „სკკპ უმაღლესი ორგანოები“, „კომუნისტები საბჭოებში, საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და მოძრაობებში“, „პარტიის საკუთრება და ფულადი სახსრები“.

წესდების პროექტი გამოქვეყნებულია საყოველთაო განხილვისათვის.

(საქინფორმი).

ავტოტრანსპორტელთა წარმატება

პოლიტიკური დასოციალური დაძაბულობა, რაც ჩვენს რესპუბლიკაში ახლა სუფევს, თითოეულ შრომით კოლექტივში, თითოეულ უბანზე დისციპლინისა და წესრიგის განმტკიცებას, საგეგმო დავალებათა შესრულებისათვის სწრაფვას მოითხოვს.

კარგად იშრომეს და მიმდინარე წლის პირველი კვარტალი წარმატებით დაასრულეს ავტოსატრანსპორტო საწარმოს მშრომელებმა. აქ წლის პირველ სამ თვეში უნდა გადაეზიდათ 89 ათასი ტონა ტვირთი, ფაქტიურად კი 90,5 ათასი ტონა გადაიტანეს. შემოსავალმა 67,4 ათასი მანეთი შეადგინა, როცა გეგმა 64 ათასი მანეთი იყო. საერთოდ კი ფულადი შემოსავლის გეგმა 163 ათასი მანეთი იყო, ფაქტიურმა შემოსავალმა 206,9 ათასი მანეთი შეადგინა, მოგებამ კი—31,4 ათასი მანეთი, გეგმა კი 16 ათასი იყო.

ავტოსატრანსპორტო საწარმოში ფეხს იკიდებს და ყალიბდება შრომის ორგანიზაციის ახლებური ფორმები. ახლახან საწარმოსთან ჩამოყალიბდა კოოპერატივი „სიახლე“.

სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომში

გაზაფხული ტემპს მოითხოვს

სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომმა განიხილა საკითხი რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობებში საგაზაფხულო სამუშაოების მიმდინარეობის შესახებ.

აღმასკომზე აღინიშნა, რომ რაიონის საზოგადოებრივმა მეურნეობებმა მნიშვნელოვანი მუშაობა გაატარეს საგაზაფხულო სამუშაოების შესრულებისათვის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით უზრუნველსაყოფად. საზოგადოებრივ მეურნეობებში გამართულ მდგომარეობაშია 34 სახნავი ტრაქტორი, რომლებიც დაკომპლექტებულია გუთნებით და სათესი მოწყობილობებით. მანქანა-ტრაქტორთა პარკის შესავსებად დამატებით მეორე კვარტალში გამოყოფილია ორი „დტ-75“ მარკის ტრაქტორი. შემოზიდულია ნორმით გათვალისწინებული სათადარიგო ნაწილები, საწვავ-საცხები მასალები და სხვა.

კარგად მიმდინარეობს საგაზაფხულო სამუშაოები წიფერჩის და ტვიშის კოლმეურნეობებში.

აღმასკომზე ამასთან ერთად აღინიშნა, რომ მიუხედავად ტექნიკის მზადყოფნისა, საგაზაფხულო სამუშაოები არაორგანიზებულად მიმდინარეობს. კოლმეურნეობების გამგეობებმა და საბჭოთა მეურნეობის დირექციამ ხელიდან გაუშვეს ამინდის ხელსაყრელი პირობები, რის შედეგადაც რაიონში გეგმური 1406 ჰექტარიდან მოხნულია მხოლოდ 104 ჰექტარი, რაც 143 ჰექტარით ნაკლებია წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით. ხოლო მარცვლეულის თესვის სამუშაოები დაწყებულია მხოლოდ ტვიშის კოლმეურნეობაში.

გაუმართლებლად აჭიანურებენ მარცვლეული კულტურების თესვისათვის ნიადაგის მომზადების სამუშაოებს ჩხუტელის, ლაჯანის, ლაილაშის კოლმეურნეობები და უსახელოურის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობა, რომელთაც სრულიად უმნიშვნელო რაოდენობით აქვთ ჩატარებული ნიადაგის ხვნის სამუშაოები. ხოლო ზოგიერთს სრულებით არ დაუწყია და გამართული სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა უქმად დგას.

მიუღებელია ზოგიერთი ხელმძღვანელის მოტივი, რომ მოიჯარადრეები და გლეხურ მეურნეობაზე გადასვლის მსურველები წინასწარ არ იხდიან მიწის დამუშავების ღირებულებას. არსებულ ჩამორჩენებს იმითაც ამართლებენ, რომ ზოგიერთმა მოიჯარადემ გასულ წელს არ გადაიხადა მეურნეობის მიერ შესრულებული სამუშაოების ღირებულება, ხოლო მოსავლის მთლიანი რაოდენობა პირადად წაიღეს.

არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს ბაღ-ვენახების მოვლითი სამუშაოები. საზოგადოებრივ მეურნეობებში 402 ჰექტარი ბაღიდან გასხლულია, შეთეთრებულია და შემობარულია 211 ჰექტარი, ხოლო შეწამვლის სამუშაოები არცერთ ჰექტარზე არ ჩატარებულა. 424 ჰექტარი ვენახიდან გაუსხლავია 78 ჰექტარი, აუშენებელი და დაუკავებელია 214 ჰექტარი, ხოლო რიგთაშორისები დამუშავებულია მხოლოდ 17 ჰექტარზე.

უსახელოურის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში 48 ჰექტარი ვენახიდან გაუსხლავია 2,5 ჰექტარი ვენახი, ხოლო რიგთაშორის დამუშავებულია 34 ჰექტარზე. ლაჯანის კოლმეურნეობაში ჯერ კიდევ დაუკავებელია 7 ჰექტარი, ხოლო დამუშავებულია მთლიანი ფართობის 15 პროცენტი, უარესი მდგომარეობაა ლაილაშის და ღვირიშის კოლმეურნეობების ბაღ-ვენახებში.

არასახარბიელო მდგომარეობაა სათადარიგო ნაწილების მომარაგებაში, მომწოდებელ ბაზებში არსებული დეფიციტის გამო, რაიონში შექმნილი არ არის სარეზერვო მარაგი, რაც საფრთხის წინაშე აყენებს საგაზაფხულო სამუშაოების აგროტექნიკურ ვადებში შესრულებას.

საჭირო ზომები არ არის გატარებული თესლების მომარაგებისათვის. კოლმეურნეობებში თესლებით მომარაგების საქმე მეურნეობათა ხელმძღვანელებმა თვით მოიჯარადრეებს მიანდეს.

არასათანადო მუშაობა სწარმოებს ორგანული სასუქების გატანისა და მინერალური სასუქებით მომარაგებისათვის.

საგაზაფხულო მინდვრის სამუშაოების მიმდინარეობაში შეფერხებები და ჩამორჩენა იმის შედეგიცაა, რომ კოლმეურნეობათა გამგეობები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები საჭირო ახსნა-განმარტებით მუშაობას არ ეწევიან მოიჯარადრეებთან, გლეხურ მეურნეობებზე გადასვლის მსურველებთან მეურნეობრიობის ახალი ფორმების აუცილებლობაზე, რაც იწვევს მათ ყოყმანსა და პასიურობას.

რაიონული საბჭოს აღმასკომმა არა საკმარისად ჩათვალა კოლმეურნეობების გამგეობების, საბჭოთა მეურნეობის დირექციის და სახალხო დეპუტატთა სასოფლო საბჭოს აღმასკომების მუშაობა საგაზაფხულო სამუშაოების აგროტექნიკურ ვადებში შესრულებისათვის.

საგაზაფხულო სამუშაოების ოპერატიული ხელმძღვანელობისათვის შექმნა შტაბი.

აღმასკომმა დაავალა კოლმეურნეობების გამგეობებს, უსახელოურის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობას, სახალხო დეპუტატთა სასოფლო საბჭოს აღმასკომებს და აგროსამრეწველო გაერთიანებას დაუყოვნებლივ უზრუნველყონ ყველა მანქანა-ტრაქტორის გაყვანა მარცვლეულის კულტურების სათესი ფართობების დასამუშავებლად, შეიმუშაონ ცალკეული მეურნეობების მიხედვით ნიადაგის მოხვნისა და თესვის გრაფიკები, იმ ვარაუდით, რომ საგაზაფხულო თესვა დამთავრდეს 10-15 მაისისათვის, ამასთან დასახა ღონისძიება საგაზაფხულო სამუშაოების დროულად დამთავრებისათვის.

იხვნება სასიმინდე ნაკვეთები

გლეხურ მეურნეობებზე გადასვლისათვის მზადებაა რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობებში. მანამ კი დასაჩქარებელია საგაზაფხულო სამუშაოების ტემპი. განსაკუთრებულ მზრუნველობას ითხოვს ახლა ბაღ-ვენახები, სასიმინდე მინდვრები, რადგან დაგვიანებას და საქმისადმი გულგრილ დამოკიდებულებას ერთი-ორად გვაზღვევინებს შემოდგომა.

წიფერჩის კოლმეურნეობაში მიმდინარე წელს 65 ჰექტარზე უნდა დათესონ მარცვლეული კულტურები. საამისოდ საფუძველი ადრიდან მოამზადეს, მწყობრში ჩადგა ტექნიკა. მექანიზატორებმა: ავთანდილ მეიფარიანმა, ალუდა ფუტკარაძემ, როლანდ ბენიძემ, ედიშერ ხაბულიანმა ადრიდანვე იზრუნეს ტექნიკის რემონტისათვის და სამარცვლე ფართობების ხვნას დროულად შეუდგნენ. საგაზაფხულო ხვნა მიმდინარეობს გუმარეშის, წიფერჩისა და ლარჩვალის ტერიტორიებზე.

დღეისათვის სულ დახნული აქვთ 11 ჰექტარი. მონდომებით შრომობენ მექანიზატორები, რომლებიც ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ ამ მნიშვნელოვან კამპანიას დროულად მორჩნენ.

იყო გლოვა და ქართული სულის ზეიმიც

როდის განათდება ჩვენი აპრილი

წელიწადია, რაც გაშავდა აპრილი ჩვენთვის, გაზაფხულის სუნთქვა სიკვდილის ცივმა ბორიომ შეცვალა. მას შემდეგ, რაც წმინდა სისხლის ღვარმა წალეკა რუსთაველის პროსპექტი, გულს გვისივებს და გვგლეჯს სიცოცხლის გზნებამორეული ბუნება. ვეღარ ხარობენ მისი გამოღვიძებით 9 აპრილს ზვარაკად შეწირული ჩვენი გოგონები, უსათნოესი ქალბატონები და მგლისმუხლა ვაჟკაცები. შარშანდელიდან იცვალა ზნე და ფერი აპრილმა: სისხლისფრად აფეთქდა და დაბნელდა. მაგრამ, განგების ძალით, ეს უიმედო ბნელი როდია. ტრაგედიამ მდულარე, მაგრამ არა უნუგეშო ცრემლი გვაღვრევინა, შეძრა ჩვენი სულები, ქართველობა აამღერა, აატორტმანა და მუშტად შეკრა. ამიტომ იქცა აპრილი ჩვენთვის სიკვდილ-სიცოცხლის ჰიდილის სიმბოლოდ, მან დაგვანახა, როგორ იმარჯვებს თავისუფლებამოწყურებული სული, რომელმაც არჩია ეკლიანი გზით სიარული... „ვინაიდან ვიწროა ბჭე და ძნელია გზა, რომელსაც მივყავართ სიცოცხლისაკენ და მცირედნი ჰპოვებენ მას“. ამიტომ აპრილი ჩვენთვის გლოვაც არის და ქართული სულის ზეიმიც.

8 აპრილს საღამოს ცაგერელები შეიკრიბნენ ხსოვნის მემორიალთან. იგი ჯერ კიდევ შარშან, ტრაგედიის ცხელ კვალზე აგო რაიონის ახალგაზრდობამ 9 აპრილის მსხვერპლთა ხსოვნის პატივსაგებად. მემორიალი მათი სიმბოლური საფლავია, რომელზეც დგას მუშტადშეკრული ქვის მარჯვენა. იგი ერთდროულად გამოხატავს ქართული სულის ძლიერებას, დაღუპულთადმი მიცემულ ფიცს, ერთიანობისადმი ჩვენს სწრაფვას.

მთელი საღამოს განმავლობაში რეპროდუქტორებიდან ქართული საგალობლები იღვრებოდა. ღამის 12 საათზე დაიწყო საპროტესტო მიტინგი. მომიტინგეებმა მოისმინეს ფირი, რომელზეც ჩაწერილი იყო 1989 წლის აპრილის მღელვარე დღეებში გამართულ მიტინგებზე ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერთა გამოსვლები, ეროვნული გმირის სულმნათი მერაბ კოსტავას, აწ განსვენებულთა ვოვა ვეკუას და ზურაბ ჭავჭავაძის მგზნებარე გამოსვლები.

ღამის 4 საათსა და 8 წუთზე (ამ დროს დაიწყო მთავრობის სახლის წინ შეკრებილი უიარაღო დემონსტრანტთა უპრეცედენტო ხოცვა-ჟლეტა) ახმიანდნენ ჩხუტელის ეკლესიისა და ცაგერის ღვთისმშობლის მიძინების ეკლესიის ზარები. ხოლო სანთლებით აბრიალებულ მემორიალთან მუხლმოდრეკით ლოცულობდნენ ახალგაზრდები და ღმერთს ავედრებდნენ დაღუპულთა წამებულ სულს, საქართველოს აწმყოს და მომავალ თავისუფლებას. ცრემლიანი ლოცვა უერთდებოდა მოგანგაშე ზარების ხმას. დიდხანს, გამთენიამდე რეკდნენ ზარები:

ნეტარ არიან წმიდანი გულითა, ვინაიდან ისინი ღმერთს იხილავენ.

ნეტარ არიან სიმართლისათვის დევნილნი, ვინაიდან მათია ცათა სასუფეველი...

9 აპრილს დილიდანვე დაიწყო მსვლელობა მემორიალისაკენ. ყვავილებით მოდიოდნენ ბავშვები, დიდები, გოგონები და ქალები. მოდიოდნენ სკოლები, ორგანიზაციების, საწარმოების შრომითი კოლექტივები, მდუმარე და უწყვეტი იყო მსვლელობა. ცაგერის საშუალო სკოლაში იმ დილით ერთიანი გლოვის გაკვეთილი ჩატარდა. ბავშვებმა ილოცეს „მამაო ჩვენო“ და სამგლოვიარო შავი ლენტებით და ყვავილებით გაეშურნენ წმინდა ადგილისაკენ. ბარდნალის საშუალო სკოლის მოსწავლეებმა ფეხით გალიეს გზა ბარდნალიდან ხსოვნის მემორიალამდე.

12 საათისათვის ორიათასამდე კაცმა მოიყარა თავი. სანთლები და ყვავილები იწვოდნენ მზეზე. ბავშვები შავი დროშებით ხელში, დახრილი ეროვნული დროშები... ცრემლგარეული ხმით კითხულობდნენ ლექსებს. დიდხანს, ძალიან დიდხანს ისმი[illegible] და... შავლეგო, ცრემლ[illegible] ახლავს ამ გმირულ სიმღერასაც, ასე რომ [illegible] საქართველოსთვის წამებულ გმირებს. ბოლოს ერთიან[illegible] მოსულმა ხალხმა და აღავლინა „მამაო ჩვენო“.

ცაგერის ღვთისმშობლის მიძინების ეკლესიაში გადახდილ იქნა დაღუპულთა სულის მოსახსენიებელი პარაკლისი. საღამოს ოთხ საათზე კი ცაგერის სახალხო თეატრმა წარმოადგინა ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიცია „მომმადლე ქართველს ქართლის ნდობა და სიყვარული და აღუდგინე მშვენიერი ესე მამული“ ოთარ ჩხეიძის პიესის „თევდორეს“ მიხედვით. ამ საქველმოქმედო საღამოს მთელი შემოსავალი 9 აპრილს დაღუპულთა ხსოვნის მემორიალის ასაგები რესპუბლიკური ფონდის ანგარიშზე გადაირიცხება.

წელიწადი მიიწურა უკვე, შავი წელიწადი. ბრძოლის ტალღა კი აზვირთდა. აპრილში დათხეულმა წმინდა სისხლმა თავისუფლება უნდა მოგვიტანოს, ჩვენი აპრილი ისევ უნდა განათდეს.

ია ხმელიძე.



სურათზე: 9 აპრილს მემორიალთან მთელი დღე არ წყდებოდა ხალხის ნაკადი.

ზ. გზობავას ფოტო.

გვიხსენ ჩვენ ბოროტისაგან

აპრილი ქართველი კაცის ცნობიერებაში აღარ არის მზე, გაზაფხული და ყვავილობა, ბუნებისა და სიცოცხლის გამოღვიძება. 9 აპრილი სისხლია, ადამიანთა დასაჩეხად პირაწყობილი ნიჩბები და ბარები, 9 აპრილი ურჩხულია სიკვდილჩამდგარი ბოროტი თვალებით.

საქართველოს მრავალგზის დაკოდილ სხეულს შარშან 9 აპრილსაც დაადინეს უმანკოს სისხლი და იგი კვლავ მოწყვეთავს, მოწყვეთავს ჯიუტად მოუშუშებელი იარიდან და მკურნალს ელის—გვაფრთხილებს, გვაფიქრებს, ხან წარსულში მიგვაქანებს, ხანაც ხვალის საქართველოში, ცრემლთან ერთად იმედით გვავსებს, ასე მივყავართ სისხლიან ბილიკს თავისუფალი, ძლიერი და დამოუკიდებელი საქართველოსაკენ.

ცაგერის ცენტრალიზებული ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზი სავსეა მკითხველით, ყვავილებით, ცრემლით. აქ ქალაქის ბიბლიოთეკებმა 9 აპრილს დაღუპულთა ხსოვნის უკვდავსაყოფად გვიხმეს. ყვავილებსაც და ადამიანებს თავი დაუხრიათ.

..1989 წლის 9 აპრილს უმოწყალოდ დაჩეხეს და დაკბეჩეს მშვიდობიანი მანიფესტაციის მონაწილენი მხოლოდ იმისთვის, რომ თავიანთი სამშობლოს მთლიანობა, ერთიანობა, თავისუფლება სურდათ და გულისწადილი საჯაროდ ხმამაღლა, ქვეყნის გასაგონად გამოხატეს... გაისმის დარბაზში.

სწორედ მათი წმინდა სულის მოსახსენიებელი იყო ეს შეხვედრაც. კულტურის მუშაკები თუ ბიბლიოთეკის მკითხველები აღნიშნავდნენ, რომ საქართველოს ტრაგედია ათვლის წერტილი გახდა ქართველთა პოლიტიკური თვითშეგნების და თავისუფლებისათვის ბრძოლის გზაზე, რომ გოლგოთა გავლილია, ამიერიდან ვერარაფერი შეაჩერებს თავისუფლებისათვის თავაჩენილ ქართულ სისხლს.

დარბაზი ტიროდა და მღეროდა „შავლეგოს“, „ჩემო კარგო ქვეყანას“...

საღამოს ესწრებოდა სხვადასხვა ასაკის, პროფესიის, თანამდებობისა და განათლების ადამიანი, მაგრამ მათ აერთიანებდათ ერთიანი რწმენა, რწმენა საქართველოს ნანატრი თავისუფლებისა.

დარბაზი იმეორებდა ღონისძიების წამყვანი ნატო სილაგაძის მთელი გულითა და გრძნობით წარმოთქმული „მამაო ჩვენოს“ სტრიქონებს.

მამაო ჩვენო, გვიხსენ ჩვენ ბოროტისაგან, რამეთუ შენი არს სუფევა, ძალი და დიდება უკუნითი უკუნისამდე, ამინ!

მ. ძნელაძე.

პატივი მიაგეს

7 აპრილია. ორბელის კულტურის სახლის კლუბში სამგლოვიარო მუსიკის ხმაა. სცენას მიხაკებით ამკობენ ორბელის საშუალო სკოლის მეათე კლასის მოსწავლეები (კლასის ხელმძღვანელი ზ. ქლიბაძე).

დარბაზს სცენიდან გადმოჰყურებენ თბილისში 9 აპრილს უდანაშაულოდ დაღუპულთა სახეები. აინთო სანთლები. პარაკლისს ატარებს ცაგერის ყოვლად წმინდა ღვთისმშობლის მიძინების ეკლესიის წინამძღვარი.

ისმის „შავლეგოს“ ნაღვლიანი მუსიკა, მუსიკის ფონზე სცენაზე ცოცხლდება მერაბ კოსტავას, თამრიკო ჭოველიძის, ნათია ბაშალეიშვილის, ეკა ბეჟანიშვილის, თამარ დოლიძის, აზა ადამიას, გია ქარსელაძის და სხვათა სახეები. უმღერიან დაღუპულთა სახეებს „ნანას“. მაყურებელი ერთხელ კიდევ ღვრის დაღუპულ მამულიშვილთა წილხვედრ ცრემლს. „ვაჩუქოთ ერთმანეთს ტიტების“ მუსიკის ფონზე ისმის:

„...მწამს მსოფლიო ასპარეზზე
ის გაიტანს ზღაპრულ ლელოს
და კვლავ ვნახავთ მკვდრეთით აღმდგარ
გამარჯვებულ საქართველოს“.

სრულდება სიმღერა სამშობლოზე, სცენაზე ფრიალებს ეროვნული დროშები.

სევდიანი მაყურებელი ტოვებს დარბაზს იმ იმედით, რომ „კიდევაც დაიზრდებიან ალგეთს ლეკვები მგლისანი“...

ი. გოგებაშვილი,
ორბელის საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილე სააღმზრდელო დარგში.

მოუშუშებელი ჭარა

ის ქრიამული და მხიარულება, რაც ყოველთვის თან ახლავს ნორჩებთან შეხვედრას, გამქრალიყო, არაჩვეულებრივად ფიქრიანი იყვნენ პატარები, მუქი ფერები სჭარბობდა ირგვლივ. საქალაქო საბავშვო ბიბლიოთეკაში 9 აპრილის ტრაგედიისადმი მიძღვნილ ლიტერატურულ საღამოზე მოსულთ, ეგებებოდა ექო იმ დიდი მწუხარებისა, რომელიც სისხლიანი ხელებით შეგვიქმნეს ჯალათებმა და უმშვენიერესი თეთრი აპრილი შავი თალხით დაფარეს. გლოვის იყო ეს ერთი წელი...

„ნეტარ იყვნენ დევნილნი სიმართლისათვის, რამეთუ მათი არს სასუფეველი ცათა“...

(„იცხრა ნეტარება“)—ნორჩები წარმოთქვამდნენ ამ სიტყვებს და სწამდათ ჭეშმარიტება მათი არსისა, რადგან სიმართლისათვის დევნილ იქნენ ისინი, ვისაც საქართველო სიცოცხლეზე მეტად უყვარდათ. გაცნობიერებული მწუხარებით იხსენიებდნენ თამუნას თუ ეკას, მამუკას თუ ნათიას, ნატოს თუ ნინოს... კითხულობდნენ მათი ხანმოკლე ცხოვრების მხილველთა ჩანაწერებს, მოგონებებს და სჯეროდათ, რომ მოწამეთა ხვედრამდე თითოეული მათგანი შემთხვევით კი არა, საკუთარი რწმენით, საქართველოს თავისუფლების მსურველი გულით მივიდა. ამიტომაც უწოდეს ლიტერატურულ საღამოს „თავისუფლება სულს ისე მოწყურდა“.

მღეროდნენ პატარები „შავლეგოს“ და მათ მეხსიერებაში მკვიდრდებოდა ხსოვნა მერაბ კოსტავასი, როგორც ეროვნული გმირისა.

საღამოზე მოწვეული თანატოლები, მშობლები თანამოაზრედ ექციათ ნორჩებს, მათ თვალებში მკვეთრად ჩანდა თუ რა ძალა აქვს შეკავებულ ცრემლსა და გულით ნატარები დარდის აბობქრებას.

...და შემდეგ, როდესაც „მამაო ჩვენოთი“, სანთლის მოცახცახე ალით, საკუთარი სამშობლოს თავისუფლებაზე ლოცულობდნენ, მათი წკრიალა ბავშვური ხმით წარმოთქმული „ამინ“ სამშობლოს დიდებისაკენ მლტოლვ ერისშვილთა გზის განმგრძობთაობის გულის სიღრმიდან ამოხეთქილი სურვილის—ეროვნული სუვერენიტეტის—დასტური იყო. „ჩემო კარგო ქვეყანავ“ მღეროდნენ ნორჩები ლაღად, რადგან მათი კარგი ქვეყნის მომავალი მათ ცნობიერებაში მხოლოდ ნათელ, უკეთეს მერმისთანაა დაკავშირებული.

საღამო დასრულდა 9 აპრილის მემორიალთან, სადაც ყვავილები მიიტანეს საქართველოსათვის დაღუპულთა სიმბოლურ საფლავზე... წელიწადი გავიდა, სამუდამოდ მოუშუშებელ იარად დაგვჩა 9 აპრილი, კიდევ ერთი გლოვის დღე საქართველოს ტანჯულ ისტორიაში.

ლ. ცხვედიანი.

თავისუფლება სულს ისე მოსწყურდა!...

ვაჟიკაცი

გაზეთ „ლეჩხუმის“ ალტერნატიული ჩანართი

№2 შაბათი მორიგისა **14** აპრილი იგრიკა 1990 წ.

მუხლი 75. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო ენა არის ქართული ენა.

საქართველოს სსრ რესპუბლიკა ახორციელებს სახელმწიფო ზრუნვას ქართული ენის ყოველმხრივი განვითარებისათვის და უზრუნველყოფს მის ხმარებას სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანოებში, კულტურის, განათლებისა და სხვა დაწესებულებებში.

საქართველოს სსრ კონსტიტუცია
(ძირითადი კანონი)

მიღებულია საქართველოს სსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე მერვე სესიის მიერ 1978 წლის 15 აპრილს.

ნაშუადღევს გავიგეთ, ჯუმბერ კოპალიანი თავის მამულში იმყოფება. წმინდა ილია მართალის საზოგადოების ლეჩხუმის სინიციატივო ჯგუფის რამდენიმე წევრთან ერთად მეც გავეშურე ქულბაქში. ბატონი ჯუმბერ კოპალიანი ილია ჭავჭავაძის საზოგადოების გამგეობის წევრია, ჩვენი თანამემამულე. როგორც თვითონ გვითხრა, აქაა დაბადებული და გაზრდილი, ახლა კი მშობლების სანახავად ჩამოსულა.

ჯუმბერ კოპალიანი 1939 წელს დაბადა. 1958 წელს დაამთავრა ხონის მუშა-ახალგაზრდობის საღამოს საშუალო სკოლა. იმავე წელს გაიწვიეს საბჭოთა არმიაში სამსახურად. დემობილიზაციის შემდეგ, 1962 წელს მუშაობა დაიწყო თბილისის ელმავალ-მშენებელ ქარხანაში. იმ წელსვე ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე. 1967 წელს დაამთავრა უნივერსიტეტი, ხოლო 1971 წელს—ასპირანტურა საქართველოს შუა საუკუნეების ისტორიის სპეციალობით. 1973 წლიდან მუშაობს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში ჯერ უმცროს მეცნიერ-თანამშრომლად, ხოლო 1978 წლიდან—უფროს მეცნიერ-თანამშრომლად. ჰყავს მეუღლე, მზია კახიანი, როგორც შემდგომ საუბარში ღიმილით გვითხრა, მეუღლე კი არა, თანამებრძოლი, და 3 შვილი.

აი, რას გვაამბობს გაზეთი „სოფლის ცხოვრება“ ჯუმბერ კოპალიანის შესახებ: „ეროვნულ მოძრაობაში ჩაება 1978 წლიდან. აქტიურად იბრძოდა ქართული ენის დაცვისათვის, მოსკოვის მიერ მიღებული ანტიქართული კანონების წინააღმდეგ. ხელისუფლებისაგან განსაკუთრებულ დევნა-შევიწროებას განიცდიდა იმ საჯარო ლექციებისათვის, რომელიც მიძღვნილი იყო საქართველოს და რუსეთის ურთიერთობისადმი უძველესი დროიდან მე-19 საუკუნის მოლომდე. ფაქტიურად მან ამ ლექციებით ამხილა ხელისუფლება, რომელიც დიდას გულმოდგინებით ეშზადებოდა გეორგიევსკის ხელშეკრულების წლისთავის საზეიმოდ აღნიშვნისათვის“.

ბატონი ჯუმბერი სიამოვნებით დამთანხმდა ინტერვიუზე, გამოვიდა კი თავისებური კოლექტიური ინტერვიუ, რადგან მასპინძელი პასუხობდა ყველა ჩვენგანის მიერ დასმულ კითხვებს. გთავაზობთ ჩვენი ხანგრძლივი საუბრის შემოკლებულ ჩანაწერს.

ია ხმელიძე.

ჩვენ ილიას გზით უნდა ვიაროთ

*** ჩვენს მხარეზე მხოლოდ სიმართლეა * ორჯონიკიძის დეპეშა სულ სხვას ლაღადებს * სოციალ-დემოკრატიული პარტია ზედმეტად შიმაჩნია * კომკავშირი ახალგაზრდას ადამიანურ თვისებებს ართმევს * დამოუკიდებლობა შეიძლება ძალიან მალე მოვიდეს.**

—რას გვეტყვით საქართველოში მიმდინარე ეროვნული მოძრაობის შესახებ?

—ეროვნულ- განმათავისუფლებელი მოძრაობა საქართველოში 1921 წლიდან დაიწყო. სისხლიანმა ტერორმა გაანელა ბრძოლის ცეცხლი, მაგრამ იგი მაინც არ შეწყვეტილა. ამიტომ არ შეიძლება საზღვარი დავუდოთ ამ მოძრაობას. მისი გააქტიურება არის ამჟამად მიმდინარე საყოველთაო პროცესის შედეგი. ეროვნული მოძრაობა მთლიანი უნდა იყოს, აუცილებელია მასში მონაწილე პატრიოტული ძალების ერთიანობა.

ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში 1978 წლიდან ჩავერთე. ძნელი იყო, რა თქმა უნდა, მაშინ პეტიციაზე ხელმოწერების შეგროვებაც დიდ რისკთან იყო დაკავშირებული. აპრილის ამბების შემდეგ მეთვალყურეობა დაგვიწესეს. ჩვენი ყოველი ნაბიჯი იცოდა ხელისუფლებამ. რა პროვოკაცია არ მოგიწყვეს, მაგრამ უშედეგოდ. 1981 წელს მთავრობის მაღალ წრეებში თქმულა თურმე: რა მოვუხერხოთ, პატიოსანი და გაწათლებული კაციაო... ასეა, მთავრობას არ უნდა მისცე მოსყიდვის საშუალება. მან შეიძლება ისეთი მცირე სიკეთითაც დაგაბას, როგორიცაა ბინა, ავეჯი, მანქანა. მე კი დღესაც არა მაქვს ტელეფონი. ხელისუფლებას სურს შეინარჩუნოს თავი. ამისათვის მის ხელშია ყველაფერი და იგიც იყენებს ყველა საშუალებას. მხოლოდ სიმართლეა ჩვენს მხარეზე, მეტი არაფერი.

—გვიამბეთ ცოტა რამ ილია ჭავჭავაძის საზოგადოების შესახებ.

—ილია ჭავჭავაძის საზოგადოება 1987 წელს შეიქმნა, რასაც ხელისუფლებამ რუსთაველის საზოგადოების შექმნა დაუპირისპირა. მთავრობა ვარაუდობდა, რომ ხალხის გამოფხიზლებული ნაწილი გაერთიანდებოდა ამ საზოგადოების გარშემო. მაგრამ, როგორც ყოველთვის, მთავრობის მიერ შექმნილ ორგანიზაციას არ აღმოაჩნდა ქმედების უნარი და ხალხმა დაინახა მისი შექმნის ნამდვილი მიზანი. თითქმის მსგავს სიტუაციაში აღმოჩნდა სახალხო ფრონტიც. თუმცა ნოდარ ნათაძე უპატიოსნესი, უმწიკვლო კაცია, დღე და ღამე გასწორებული აქვს, რომ როგორმე ნამდვილად მებრძოლი ორგანიზაცია შეიქმნას, ფრონტში მოხვედრილმა ძალზე ბევრმა საეჭვო რეპუტაციის ადამიანმა ხელი შეუშალა ამას, რამაც საბოლოოდ ქაოსი გამოიწვია.

ილია ჭავჭავაძის საზოგადოების გამგეობის წევრები ახლა სხვადასხვა პარტიებისა და საზოგადოებების წევრები ან ლიდერები არიან.

საზოგადოებას მართავს 11 კაცისაგან შემდგარი გამგეობა, სხვებისგან განსხვავებით ჩვენ თავმჯდომარე არა გვყავს.

საზოგადოების მიზანი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენაა, რომელიც რუსეთის ბოლშევიკებმა წაგვართვეს. სიტყვამ მოიტანა და ჩვენ ხელთა გვაქვს დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს, რომ რუს ბოლშევიკთა ლიდერი სისხლხორცეულად იყო დაინტერესებული საქართველოს ანექსიით. ეს არის ორჯონიკიძის ცნობილი დეპეშის დედანი, რომელიც ლენინსა და სტალინს აუწყებდა თბილისის აღებას. საინტერესოა ამ დოკუმენტის ისტორია.

1981 წელს, საქართველოს გასაბჭოების მე-60 წლისთავზე ლ. ბრეჟნევი ესტუმრა თბილისს. მის დასახვედრად გრანდიოზული ზეიმი გამართა ხელისუფლებამ. მომზადდა აგრეთვე ამ „ღირსშესანიშნავი“ თარიღისადმი მიძღვნილი გამოფენა. მის ექსპონატებს შორის იყო ორჯონიკიძის ხელით ნაწერი დეპეშის ტექსტი, რომელიც მოსკოვიდან გამოუთხოვიათ. არქივის თანამშრომლებს არავითარი უურადღება არ მიუქცევიათ ქაღალდისათვის, რომელზეც შავით თეთრზე ეწერა: „ბაკუ, ლენინუ, სტალინუ...“ და არა „მოსკვა, ლენინუ, სტალინუ“—როგორც ჩვენ გვასწავლიდნენ. ორჯონიკიძემ სტალინსა და ლენინს დეპეშა გაუგზავნა არა მოსკოვში, არამედ ბაქოში, ე. ი. იქ, სადაც ეგულებოდა ისინი. ეს ფაქტი ადასტურებს, რომ ორივე (ლენინიც და სტალინიც, და არა მხოლოდ სტალინი, როგორც ახლა სურთ წარმოადგინონ), ისე იყო დაინტერესებული საქართველოთი, რომ ისინი უშუალოდ ბაქოდან ხელმძღვანელობდნენ ამ აქციას. როგორც ჩანს, შემდეგ მოხდა დეპეშის ტექსტის გაყალბება იმ სახით, როგორც დღემდე იყო ცნობილი. აი,ასე უცერემონიოდ ახდენდა ბოლშევიკური დიქტატურა ფაქტების ფალსიფიკაციას, რათა შეექმნა მითი ბოლშევიზმის მესიანისტური მისიის თაობაზე.

დავუბრუნდეთ ჩვენი საუბრის თემას. ილია ჭავჭავაძის საზოგადოების მეცადინეობით ლეკების 300 ოჯახი უკვე წავიდა საქართველოდან, 50.000-მდე გრიგორიანელ ქართველს დავუბრუნეთ ქართული გვარი და ეროვნება. ისინი სარწმუნოების გამო სომხებად იყვნენ ჩაწერილი.

როგორც გითხარით, ჩვენი საზოგადოება საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის იბრძვის. ბრძოლა შეიძლება ორგვარი იყოს: მშვიდობიანი და აჯანყების გზით. ჩვენ არ გამოვრიცხავთ აჯანყებას, მაგრამ მთავარი მშვიდობიანი ბრძოლის გზაა. რა თქმა უნდა, აქაც არის განსხვავება, პარლამენტური გზა მშვიდობიანი ბრძოლის ერთ-ერთი ფორმაა და ამ ფორმასაც უნდა მივმართოთ. უნდა ვისაუბროთ მრავალპარტიული სისტემის შემოღებით და ვეცადოთ, რაც შეიძლება ღირსეული კანდიდატები გავიყვანოთ უმაღლეს საბჭოში, ვისაც რა შეგვიძლია, ის უნდა ვაკეთოთ. გლეხი, მაგალითად, თავისი საქმის პროფესიონალია, მასწავლებელი იმასწავლებლებს, ხოლო პოლიტიკოსმა პოლიტიკას უნდა მისდიოს. ეს ყველაზე ძნელი საქმეა. საკმარისი არაა იყო ბრწყინვალე ანალიტიკოსი, როგორც, მაგალითად, აკაკი ბაქრაძე, უნდა გაგაჩნდეს წინასწარმეტყველის უნარიც. სამშობლოს უნდა ემსახურო, როგორც შეგიძლია.

ამ პარლამენტმა უნდა გადაწყვიტოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის საკითხი. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ილია ჭავჭავაძის საზოგადოებისათვის არ აქვს მნიშვნელობა, თუ ვინ გამოაცხადებს საქართველოს დამოუკიდებლობას. რა თქმა უნდა, არასაპარლამენტო ოპოზიციაც საჭიროა იმისათვის, რომ გარედან დაწოლა მოახდინოს პარლამენტზე. ასეთი კონტაქტი აუცილებელია.

—როგორია თქვენი დამოკიდებულება სოციალ-დემოკრატიული პარტიისადმი?

—სადავო არაა, რომ ეს არის ხელისუფლების მიერ სანქცირებული ორგანიზაცია, თუმცა ს. დ. პარტიაში შეიძლება მოხვდნენ პატიოსანი ადამიანები. ამიტომ მიმაჩნია, რომ მისი შექმნა ეროვნული ძალების დაქსაქსვაა. ჩვენს ეროვნული დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი პარტიები გვჭირდება, სოციალ-დემოკრატიული პარტია კი ზედმეტად მიმაჩნია.

—გავრცელდა ხმები, თითქოს ილია ჭავჭავაძის საზოგადოება მხარს უჭერდეს ე. წ. თურქი მესხების ჩამოსახლებას საქართველოში. ამას მოჰყვა საკმაოდ დიდი ვნებათაღელვა. რამდენად საფუძვლიანი იყო იგი?

—ეს ცილისწამება გახლდათ. ილია ჭავჭავაძის საზოგადოება კარგად გრძნობს პრობლემის სირთულეს და თუმცა აღიარებს, რომ გადასახლებულ ოჯახებს შორის არიან ნამდვილად ქართველი, ქართული ორიენტაციის მქონენი (იქნებ რამდენიმე, მაგრამ მაინც ხომ არის). მიაჩნია, **დღევანდელ სიტუაციაში საქართველოში არავის ჩამოსახლება არ შეიძლება.** ნამდვილ ქართველებს ჯერჯერობით სხვაგვარად უნდა დავეხმაროთ, ხელი არ უნდა ვკრათ. **მათი ჩამოსახლება კი უნდა მოხდეს მაშინ, როცა საქართველოს ამის შესაძლებლობა ექნება,** თანაც იმ პირობით, რომ სამცხე-ჯავახეთში არც ერთი არ დასახლდება. რაც შეეხება გამაჰმადიანებულ ქართველებს, რომლებმაც დაკარგეს ქართული ორიენტაცია, ისინი თურქებზე უარესნი არიან.

—ამჟამად საქართველოში სულ უფრო ხშირად გაისმის ხმები გლეხისათვის მიწის დაბრუნების შესახებ..

—საზოგადოებრივი მეურნეობები აუცილებლად უნდა დაიშალოს, მაგრამ საქართველოში დამოუკიდებლობის აღდგენამდე მიწაზე კერძო საკუთრების გამოცხადება არ შეიძლება, რადგან არსებობს საშიშროება, რომ ქართულ მიწას არაქართველები დაეპატრონებიან. მიწასთან დაკავშირებული ყველა საკითხი რთულია, ერთი პატარა აჩქარება შეიძლება ძვირად დაგვიჯდეს. ამ ეტაპზე გლეხებს მიწა უნდა დაურიგდეთ სარგებლობის უფლებით, საკუთრების ფორმებს კი თავისუფალი საქართველო განსაზღვრავს.

(დასასრული მე-2 გვერდზე).

ჩვენ ილიას გზით უნდა ვიაროთ

(დასასრული).

— საინტერესოა, სად ჩამოყალიბდა თქვენი მსოფლმხედველობა?

—უნივერსიტეტში. მანამდე კი ეროვნულ თვითშეგნებაზე ლაპარაკიც ზედმეტი იყო, ჩვენი სწავლა-აღზრდის სისტემა ხომ სასტიკად პოლიტიზირებულია. პატარას ბაღში რომ მიიყვანენ, პირველად „მოსკოვში ერთი სახლია-ს“ მსგავსი შედევრები ესმის და მას შემდეგ რუსულ ყაიდაზე იზრდება, ერთგვარ ყალიბში თავსდება მისი აზროვნება. პიონერია და კომკავშირიც უწყობენ ამას ხელს. კომკავშირი ისეთი სკოლაა, სადაც ახალგაზრდას უნდა დაეკარგა ყველა ადამიანური თვისება და შეეძინა სიყალბის, მლიქვნელობის თვისებები, თუ სურდა მიეღწია კარიერის მაღალი კიბისათვის. დიახ, საოცარი სისტემა შექმნეს ბოლშევიკებმა. სიმღერაც კი იყო— „დედას მოვკლავ, მამას მოვკლავ, თუ პარტია დამავალებსო“. 19 წლის ბიჭი ვიყავი, პარტიაში რომ შემიყვანეს, ჯარში ვმსახურობდი მაშინ. უნივერსიტეტის მე-2 კურსამდე მეც ამ სისტემის ღვიძლი შვილი გახლდით. შემდეგ კი თანდათანობით მივხვდი ყველაფერს. უკვე 2 წელია, პარტია რომ დავტოვე.

—როგორ შეაფასებდით სულგანათლებულ მერაბ კოსტავას როლს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში?

—თუ ქართველი ერის სიმტკიცით ეროვნული მოძრაობა ასე მთლიანი გახდა, ეს მერაბ კოსტავას დამსახურებაა. განუზომელი ძალა ჰქონდა და აქვს მის პირად მაგალითს. მე მთლიანობაში ვიცნობდი მერაბს და მის ძვირფას ოჯახს. ეს იყო უაღრესად ვაჟკაცი, თავგანწირული კაცი, რომელსაც ვერანაირი ზემოქმედება, ვერა ძალა ვერ გატეხდა და შეაცვლევინებდა აზრს. თავისი ფიზიკური შესახედაობით, უაღრესად სიკეთით სავსე, ბავშვის სუფთა გულით იპყრობდა ადამიანებს. უპრეტენზიო, თავმდაბალი, მიმტევებელი, ადამიანს ვერ გაწირავდა. ბევრი რამ დათმო სხვისთვის. ნამდვილი ვაჟკაცი იყო ხორცით და სულით.

—არ გაეჭვებთ მისი სიკვდილის გარემოებები?

—ასეთ ფართო ტრასაზე მსგავსი სიტუაციის შექმნა ფრიად საეჭვოა. მსგავს შემთხვევაში თითქოს ყველა უნდა დაღუპულიყო, მაგრამ თამარ ჩხეიძე ტანად პატარაა და, როგორც ჩანს, ამან გადაარჩინა. ახსოვს, რომ პატარა შავი ძაღლი გადაუხტა წინ, მერე კი შემხვედრი ჟიგულიც წამოვიდა... საეჭვოა, ფრიად საეჭვო...

—თქვენი პროგნოზი ლიტვის თაობაზე?

—99 პროცენტით ვარ დარწმუნებული, რომ ლიტვა გავიდა სსრკ-დან. მართალია, მოსკოვს ჯერჯერობით არ სურს მისი დამოუკიდებლობის ცნობა, მაგრამ ეს დღეც მალე დადგება. ლიტვის მაგალითს სხვებიც მიჰყვებიან და მე მტკიცედ მჯერა, რომ ისინიც გავლენ კავშირიდან.

—სხვებში, რა თქმა უნდა, საქართველოსაც გულისხმობთ ალბათ?

—უდავოდ. ეს შეიძლება ძალიან მალე მოხდეს, რადგან მოვლენები საოცრად დაჩქარდა. ვფიქრობთ, ეროვნულ-განმათავისუფლებელი პროცესები არ შენელდება პრეზიდენტობის სტატუსი [illegible] ვად. ქართველი კაცის გონებაში ზის ერთი აზრი, უფრო სწორად შიში, რომ სსრკ-ის გარეშე მშიერი მოვკვდებით, რომ თურქეთი დაგვიპყრობს და ა. შ. ხალხი არაა მომზადებული თავისუფლებისათვის. ამიტომაც არის რეფერენდუმი დამღუპველი ჩვენთვის.

შემდგომში აუცილებელია დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი პარტიების გაერთიანება ერთი მიზნისათვის. ჩვენ უნდა ვისწავლოთ ურთიერთმიტევება, ეს ყველაზე დიდი ვაჟკაცობაა. ჩვენ ილიას გზით უნდა ვიაროთ.

რაც შეეხება ლეჩხუმს, მე მინდა, ლეჩხუმმაც ილიას გზით იაროს. მან თვითონვე უნდა მოუაროს თავის სიმდიდრეს, გახდეს თავისუფლების ერთ-ერთი ციტადელი.

სიტყვა — ახალგაზრდობას

●

პრეზიდენტი და ბედი ჩვენი

დადგა დრო, როცა ქართველმა უნდა თქვას თავისი სათქმელი. რამდენი ტკივილი გვაწუხებდა, რამდენი რამ გვიკლავდა თურმე გულს. არც კი ვიცოდით, რომ 25 თებერვალი ქართველთა ზეიმი კი არა, საქართველოს დატყვევებისა და დაპყრობის დღე იყო.

ბავშვობაში თვალს და გულს ახარებდა წითელი ვარსკვლავის, საბჭოთა კავშირის გერბის დანახვა, ახლა რომ გადაქელვას გვიპირებს, სიამაყით ვლაპარაკობდით რუსეთთან ურთიერთობასა და კავშირზე. ახლა კი... ყველაფერი ეს ტანკებისა და ორლესული ნიჩბების ასოციაციას იწვევს.

დიახ, იყო აღზევება, მაგრამ არა ეკონომიკისა და ცხოვრების დონისა, არამედ სისასტიკისა და ძალადობის. ჯერ სტალინმა გამოაცხადა თავი გენერალურ მდივნად, თუ იმპერატორად, ახლა კი...

ქართველობა წინააღმდეგი იყო პრეზიდენტის არჩევისა, მაგრამ ამაოდ— „საბჭოთა კავშირის პრეზიდენტი“ არჩეულია.

რას ნიშნავს ეს, შეიცვლება თუ არა რაიმე ჩვენს ცხოვრებაში, როგორი იქნება ჩვენი ყოფა?

მე მგონი, გორბაჩოვის პრეზიდენტობა არაფერს შეცვლის სასიკეთოდ, თუ თვითონვე არ მოინდომა ნამდვილი გარდაქმნა. რა მნიშვნელობა აქვს რა გერქმევა: პრეზიდენტი, კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი თუ იმპერატორი, თუ ძალა შენს ხელთაა და შენც არავის აძლევ გასაქანს?

მაინც ვიქონიოთ იმედი. პრეზიდენტად არჩევის შემდეგ, ჟურნალისტებთან შეხვედრაზე გორბაჩოვმა თავშეკავებული პასუხი გასცა ლიტვასთან დაკავშირებულ შეკითხვაზე. აღნიშნა, მე მივეცი ყოველ რესპუბლიკას თვითმმართველობა და თუ ლიტვა მოინდომებს გავიდეს კავშირის შემადგენლობიდან, ეს საკითხი განხილული იქნება ობიექტურადო. შედეგი? სადაა სიტყვისა და საქმის ერთიანობა?

ინგლისელ მკვლევარებს უთქვამთ, 2000 წელს ყველაზე მდიდარი ქვეყნები გერმანია (შეერთებული გფრ და გდრ) და გეორგია იქნებაო. კაცი ხომ იმედით ცოცხლობს. ჩვენც ვირწმუნოთ, მივენდოთ ღმერთს, მაგრამ ზედმეტად ნუ შევაწუხებთ მას, ცოტა საკუთარ თავსაც მოვკითხოთ.

კოტე ნემსწვერიძე,
სოფ. ტვიში.

დადგა დრო უცხო კერპთა მსხვრევისა

ჩვენი ერი, ყალყზე შემდგარი, სულიერი განწმენდის პროცესში შესული, თავგანწირული მოითხოვს თავისუფლებას, უზენაეს მიზანს მიზანთა შორის. გზა განწმენდისა და განთავისუფლებისა რთულია და ძნელი, ამის მიღწევა შესაძლებელია ჩვენი ეროვნული ენერგიის უკიდურესი დაძაბვით, იმ კალაპოტში ჩაყენებით, რომელსაც ღვთისა და ერის სიყვარული ჰქვია.

ორასწლოვანმა ბატონობამ უცხო ერისამ გარკვეულ კალაპოტში ჩააყენა ჩვენი აზროვნება, მაგრამ ქართველთა შორის ყოველთვის გამოჩნდებოდნენ ჭეშმარიტი მამულიშვილნი, რომელთა თავგანწირული მეცადინეობით ის თავანკარა წყარო, რომელსაც ერის სული, მისი ისტორიული ფესვები ჰქვია, ნასათუთევი, ნაფერები, ღირსეულად შენახული, გადადიოდა თაობიდან თაობაში და დღეს ჩვენ, დღევანდელ ქართველებს, მემკვიდრეობად ბოძებული ეს უდიდესი განძი თავგანწირვას და სულის მხნეობას გვთხოვს, რათა მოვუაროთ და შეურყვნელად გადავცეთ მომავალ თაობას ჩვენსას. ეს ისტორიული მისია არის დღევანდელი საქართველოსი, პატივისცემა და მოწიწება ღირსეული ისტორიის ღირსეული წინაპრების მიმართ.

ადამიანი, შედის რა შემეცნების ასაკში, თუ მისი ზნეობრივი განვითარება სწორი გზით არის წარმართული, უყოყმანოდ, უანგაროდ დგება ერის სამსახურში. ამაღლებული, განათლებული, ჩაზრდილი თავისი ქვეყნის ფესვებთან, ამ ფესვების გახარებაზე, გაძლიერებაზე ფიქრობს მხოლოდ, მის არსებაში ისადგურებს ფიქრი ენაზე, ფიქრი მამულზე, ფიქრი სარწმუნოებაზე. აი, სამი საფიცარი ხატი, რომელზეც უნდა ილოცოს ყოველმა ქართველმან.

„განვიშორნეთ უკუე საქმენი ბნელისანი და შევიმოსოთ საჭურველი ნათლისაი“ (მოციქული პავლე). სწორედ მოვიდა დრო ბნელ საქმეთა მოცილებისა, უცხო კერპთა, უცხო თესლთა მორჩილებისა, ერი ყველა ქართველისაგან ითხოვს თავისი წვლილის შეტანას ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში. წინაპართა ძვლები, მომავალ თაობათა ანთებული თვალები ჩვენ შემოგვყურებენ, ქართველნო, არავის არა აქვს უფლება მათი მოტყუებისა, დროა მოვიცილოთ ყველა იმპერიული მარწუხი, ჩამოვიცილოთ ძველი ცოდვები და ერთად ჩავდგეთ სამშობლოს განთავისუფლებისათვის ბრძოლაში, ნუ ჩავიდენთ ცოდვას უფლისა და ერის წინაშე. ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი.

მ. ბერუჩაშვილი.

ვისი ორგანოა გაზეთი?

„ესტონეთში ერთ-ერთი პოპულარულია ქ. ტარტუს გაზეთი „ედასი“ (წინ). მაგრამ ვისი ორგანოა იგი? აქამდე იყო პარტიის საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების ორგანო.

მაგრამ ახლა? ახლა იგი დამოუკიდებელია და გახდა უბრალოდ „ტარტუს ყოველდღიური გაზეთი“. ეს მოხდა საზოგადოებრივი ძალების კონსოლიდაციის შემდეგ“.

„წიგნის სამყარო“. 1989 წლის 13 დეკემბერი.

ფაქტები განსჯისათვის

კულტურის სასახლე — რაიკომის შენობაში

მარნეული. („კომუნისტის“ საკ. კორ). ქვეყნის მასშტაბით ჯანმრთელობის, კულტურის, განათლებისა და სხვა სისტემებისათვის „პრივილეგიური“ შენობა-ნაგებობების გადაცემა ახლა იშვიათი მოვლენა როდია. ჩვენს რესპუბლიკაში ამ მხრივ ჯერჯერობით დიდი აქტიურობა არ იგრძნობა, პრიორიტეტი ეკუთვნით მარნეულის რაიკომსა და სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომს. მათ მიიღეს ერთობლივი გადაწყვეტილება და პარტიის რაიკომის ახალთახალ შენობაში, რომელიც საუკეთესოა ქალაქში, ბინა დაიდო რაიონის კულტურის სასახლემ, რაიკომი კი ძველ შენობაში დაბრუნდა“.

გაზეთი „კომუნისტი“
29 მარტი, 1990 წელი.

„ლიტვის უმაღლესი პარტიული სკოლის შენობა გადაეცა ვილნიუსის პედაგოგიურ ინსტიტუტს“.

პროგრამა „ვრემია“.

ცაგერში კვლავ გრძელდება დეფიციტური და ხელმოწერითი ლიტერატურის განაწილების ძველი პრაქტიკა. ამგვარ ლიტერატურას, როგორც წესი, ანაწილებს საქართველოს კომპარტიის ცაგერის რაიკომი. როგორც ჩანს, თავდაპირველად ამ ღონისძიების მიზანი სოციალური თანასწორობის მაქსიმალური დაცვა იყო. საბოლოო შედეგი კი ასეთია—ბოლო წლების განმავლობაში ყველა სახის დეფიციტური და ხელმოწერითი ლიტერატურა, „როგორც წესი“, ხელში უვარდება ადამიანთა სრულიად გარკვეულ და განსაზღვრულ წრეს.

1990 წლის 9 აპრილი... საქართველოში საყოველთაო ეროვნული გლოვაა. რესპუბლიკის მთავრობის გადაწყვეტილებით აკრძალულია ყველა სახის გასართობი ღონისძიება. მთელი დღე არ წყდება ხალხის ნაკადი ცაგერში აღმართულ ხსოვნის მემორიალთან. საღამოს კი...

უხეირო ხუმრობა არ გეგონოს მკითხველო! საღამოს ცაგერში, კინო-თეატრ „სპარტაკში“ გაიმართა კინო-ფილმის „ერთხელ ამერიკაში“ სეანსი. სეანსს საკმაო რაოდენობით მაყურებელი ესწრებოდა, ყოველ შემთხვევაში სხვა დღეებზე ნაკლები არა, არ გჯერათ? შეეკითხეთ ცაგერის კინოფიკაციის დირექციას და იმდღევანდელ მაყურებლებს, რომელთაც ასე „აღნიშნეს“ გლოვის დღე.

საკუთარი ინფორმაცია.

მშვიდად, აუჩქარებლად საბჭოთა კავშირიდან

ვიტაუტას ლანდსბერგისის გასაოცრად მოხდა სასწაული. ერთი წლის წინათ კონსერვატორიის ნაკლებად ცნობილი პროფესორი დღეს „საიუდისის" — ლიტვის დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი მოძრაობის პრეზიდენტია. ასი ათასობით ლიტველი თანაუგრძნობს და ეთაყვანება სახალხო გმირს, რომლის გამოსვლებიც შიშის ზარს სცემს კრემლს, რადგან „საიუდისს" ძალუძს გახდეს ის ბზარი, რომელსაც იმპერიის ნგრევა მოჰყვება. ამ ნაპრალის გაჩენას კი ლანდსბერგისს მიაწერენ.

საღამოს შვიდის ნახევარია. დეპუტატები მოშლილი საბრძოლო მარშით უკვე გამოვიდნენ ლიტვის უზენაესი საბჭოს შენობიდან. სხდომა დამთავრდა. ფეხზე ჩამომწყდარი ხალხის მასა კი არ იშლება. ლიტველები ლანდსბერგისს ელიან. ბოლოს და ბოლოს ბრინჯაოს კარები ხალხის რჩეულს უთმობს გზას. მას კოცნიან, ხელით ეხებიან. შუა ხნის მანდილოსანი ლანდსბერგისს ყვავილების თაიგულებს აჩეჩებს.

— ბატონო ლანდსბერგის, როგორ მოხდა ასეთი მკვეთრი გარდასახვა სულ რაღაც ერთ წელიწადში? როგორ მოხვედით აქამდე?

— თერიულად ერთ დღეში დავიბადეთ. 1988 წლის 3 ივნისს შეიქმნა საინიციატივო ჯგუფი, რომელმაც დასაბამი მისცა „საიუდისს". მისი ინკუბაციის პერიოდი ხანგრძლივი აღმოჩნდა. ლიტვა ძალისმიერს მუდამ კულტურულ წინააღმდეგობას ამჯობინებდა: ასეა დღესაც. ცოტამ თუ იცის, რომ ჩვენამდე იყო ბრძოლის გრძელი წლები.

— ეს როდის?

— 1941 წლის ივნისში ომის დაწყებას მოჰყვა ანტისაბჭოური სახალხო აჯანყება. დანიშნულმა მთავრობამ ერთი თვეც კი ვერ იარსება: ნაცისტებმა თანამშრომლობაზე ვერ დაითანხმეს და დაითხოვეს. 1944 წლის საბჭოთა ოკუპაციას ხანგრძლივი პარტიზანული ომი მოჰყვა. რვა წელიწადს გრძელდებოდა სისხლის ღვრა, ეგრეთწოდებული „ლამეული ბრძოლები", რომლის წინააღმდეგაც სტალინმა ყველა ღონე იხმარა: გამოიყენეს ჯარი, ათასობით ლიტველი გადაასახლეს. ჩვენი ვარაუდით, 69-52 წლებში სამმილიონიანმა ლიტვამ მოსახლეობის მესამედი დაჰკარგა. ასეთი დიდი დანაკარგი თავსმოხვეული ომისაგან არც ერთ სახელმწიფოს არ განუცდია.

— დავუბრუნდეთ დღევანდელობას. როგორ დაიბადა „საიუდისი?"

— „საიუდისი" სისხლიანმა წარსულმა, ჩვენს თავს დატეხილმა ისტორიულმა უსამართლობამ, მოახლოებულმა ეკოლოგიურმა და კულტურულმა კატასტროფამ წარმოშვა. 80-იანი წლების დამდეგს მეცნიერებმა გამოააშკარავეს გარემოს გაჭუჭყიანების მრავალი ფაქტი: ბევრი დაბინძურებული ჭა, არაერთი მკვდარი მდინარე, ნემანის აუზის დიდი გასაჭირი. და ამ დროს ხელისუფალთ მეტად სახიფათო ადგილას ატომური მეგაცენტრალის შენება დაიწყეს, გააჩაღეს ნავთობმომპოვებელი პერფორაცია, რომლის შედეგებზეც არავინ დაფიქრებულა. გენეტიკოსებმა გაგვაფრთხილეს: თუ ასე გაგრძელდა, რამდენიმე წელიწადში გარემოს გაჭუჭყიანება, ალკოჰოლიზმი, ნარკოტიკები და დეპრესიები გენეტიკურ ცვლილებებს გამოიწვევსო. გორბაჩოვმა მოსკოვში დაიწყო საჯაროობა, მაგრამ ჩვენთან უძრაობა კიდევ ორი თუ სამი წელი გრძელდებოდა.

— როგორღა გააქტიურდა ხალხი?

— მეცხრამეტე პარტკონფერენციის დელეგატთა არჩევნებით დაიწყო ყველაფერი. დემოკრატიულ კენჭისყრას ველოდით, მაგრამ ჩვეულებისამებრ, კანდიდატურები ზემოდან შემოგვთავაზეს. ჩვენ არ ვცანით დელეგატთა უფლებამოსილება, 24 ივნისს კი კათედრალურ მოედანზე საპროტესტო, რაღა თქმა უნდა, არასანქცირებული მიტინგი გაიმართა, ლოზუნგები წაგვართვეს, მაგრამ ახალგაზრდებმა მანიფესტები ზურგზე დაიმაგრეს და მთელ ქალაქში ტრიალებდნენ, როგორც მოსიარულე რეკლამები —„სენდვიჩები". მოვიწვიეთ ყველა დელეგატი. სხვებთან ერთად ბრაზაუსკასიც მოვიდა, რომელმაც ხალხთან საერთო ენა ადვილად გამონახა. დღეს იგი ლიტვის კომპარტიის მდივანია.

ბურუსით მოცული მომავლისაკენ გადაიდგა პირველი ნაბიჯი, რომელიც სარისკოდ გვეჩვენებოდა, გვეშინოდა. არ გვეგონა, ხალხი თუ მოგროვდებოდა, მაგრამ 40 ათასმა კაცმა მოიყარა თავი. ხალხი მწყობრად მოაბიჯებდა. მომიტინგეთ ძველი ეროვნული დროშები მოეტანათ, რომელთა დაკანონება დღემდე ვერ მოხერხდა. ვგრძობდი ჩვენს ერთიანობას, ვხედავდი მოხუცთა აცრემლებულ თვალებს. მიჭირს იმ წუთებში მოზღვავებული გრძნობების გადმოცემა. წამოწვიმა, მაგრამ ხალხი არ დაშლილა. ორმოცწლიანი დუმილის შემდეგ პირველად წამოვიწყეთ ლიტვის ძველი ეროვნული ჰიმნი. ახალგაზრდებს იგი არასოდეს მოესმინათ; ისინი ტუჩებს ამოძრავებდნენ და სულგანაბულნი უფროსებს შესცქეროდნენ, რომ სიტყვები მათ ბაგეებზე ამოეკითხათ. ეს არ იყო უბრალოდ მღეროდია, იგი ლოცვას მიაგავდა.

—გესმოდათ, რა ქარიშხალი დაატეხეთ თავს მთელს საბჭოთა კავშირს?

— რა თქმა უნდა, არა. მხოლოდ საკუთარი პრობლემები გვამოძრავებდა. ჩვენ სხვა გამოსავალი არ გვქონდა. 23 აგვისტოს რიბენტროპ-მოლოტოვის პაქტის წლისთავთან დაკავშირებით გაიმართა მეორე მანიფესტაცია. ვხედავდი პარკში თავშეყრილ ორასორმოცდაათიათას მომიტინგეს და მაგონდებოდა, რომ ამ ერთი წლის წინ, სწორედ ამ დღეს, მილიცია იყო გამზადებული ორასიოდე მომიტინგის გასარეკად.

— თქვენი ეკოლოგიური და ზნეობრივი პრობლემების გადაწყვეტა საბჭოთა კავშირის ფარგლებშიც შეიძლება. რატომღა გინდათ გასვლა?

— ჩვენი უპირველესი საზრუნავი იმიგრაციის შეზღუდვაა, დრო არ ითმენს. ათ თუ ოც წელიწადში ლიტველები საკუთარ მიწაზე უმცირესობა ვიქნებით, არ გვსურს ლატვიისა და ესტონეთის მდგომარეობაში აღმოვჩნდეთ. თუ პოლიტიკოსთა ენით ვილაპარაკებთ, ნათელია, რომ გარდაქმნა კუს ნაბიჯით მიიწევს წინ: ამიტომაც ლიტვის სახელმწიფოს აღდგენა აუცილებელია; მხოლოდ ამის შემდეგ გაუმჯობესდება ჩვენი ურთიერთობა საბჭოთა კავშირში დარჩენილ სხვა რესპუბლიკებთან. საბჭოთა კავშირი ჩვენ სუვერენულ რესპუბლიკათა ერთობად გვესახება. შესაძლოა, მომავალში აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების თანამეგობრობას მივაღწიოთ.

—ეროვნული საკითხისადმი მიძღვნილ პლენუმზე გორბაჩოვმა ხომ განაცხადა, რომ საზღვრები ხელშეუხლებელია.

— ეს მას სჩვევია. იტყვის რაიმეს, შემდეგ განზე დგება და ისე ადევნებს თვალს მოვლენების განვითარებას. მისი სიტყვები ნამდვილი პოლიტიკური ვმირობაა, მაგრამ ჩვენ კონკრეტულ საქმეებს უფრო ვაფასებთ. სანამ გენერალ როდიონოვს (თბილისის დარბევის ორგანიზატორი) არ გამოგვიგზავნის, მანამ მის საქმიანობას დადებითად ვაფასებთ.

— ე. ი. თქვენ გსურთ საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან გასვლა.

— შევთანხმდეთ: ჩვენ არ ვითხოვთ საბჭოთა კავშირიდან ხვალვე გასვლას. ჩვენს მიზანს წყნარი და მშვიდობიანი გზით უნდა მივაღწიოთ. საბჭოთა კავშირის ნგრევა ტანკებით საყოველთაო კატასტროფა იქნებოდა. ცენტრის ევოლუციას დრო სჭირდება. ჯოჯოხეთურმა იმპერიულმა აზროვნებამ სხვა აზრს უნდა დაუთმოს გზა.

— ტანკები თუ თქვენამდეც მოვლენ?

— ჩვენ მათ ყვავილებით შევეგებებით. ისე კი, ტანკების გაოგზავნა უაზრო იქნებოდა. სომხეთში ძალის გამოყენებამ ახალი, კიდევ უფრო მწვავე პრობლემები წარმოშვა, გარდა ამისა, ჩვენ ღამღამობით არ ვიკრიბებით. ჩვენში არც გაფიცვებია და არც ხანგრძლივი საპროტესტო აქციები. განა აზრი აქვს წყნარ ქალაქში ტანკების გამოგზავნას? ეს ხომ აბსურდის თეატრი იქნება.

— თქვენს მომავალ გეგმებზე არაფერს გვეტყვით?

— საკითხავია, ნამდვილად სურს რუს ხალხს საკუთარი თავისუფლება?! არ ვაპირებ რუსეთის შეურაცხყოფას, მაგრამ ისინი ხელისუფალთაგან შევიწროებას შეგუებულნი არიან. საუკუნეების მანძილზე რუსი ლიდერები სახელმწიფოს განვრცობას ესწრაფოდნენ და არასოდეს გაუწევიათ ანგარიში თვალუწვდენელი იმპერიის ხალხებისათვის. რუსი ერი ნაწილობრივ იზიარებდა ამ პოზიციას. დღეს რუსები არჩევანის წინაშე დგანან. სწორედ ამიტომ ვიმეორებთ გასული საუკუნის ლიტველ მოამბოხეთა ლოზუნგს: „ვიბრძვით ჩვენი და თქვენი თავისუფლებისათვის".

„კორიერე დელა სერა"
5.X. 1989.

იტალიურიდან თარგმნა
ირინა კობიაშვილმა.
გაზეთი „ახალგაზრდა ივერიელი"

1972 წელს ქუთაისის სახელ[illegible] ბიბლიოთეკამ გამოსცა ლ. ასათიანის ბიბლიოგრაფიული საძიებელი (შეადგინა მ. სამხარაძემ, რედ. ნ. ფანცხავა).

ლადო [illegible] პრესაში გამოქვეყნებული ყველა მასალა საინტერესოა მკითხველისათვის. მათ შორისაა ლ. ასათიანის სახლ-მუზეუმის დაარსების შესახებ პრესაში გამოქვეყნებული მასალები, რომლებიც ბიბლიოგრაფიული საძიებლის 1-ელ თავში—„ლიტერატურა ლ. ასათიანის შესახებ" შეტანილია.

შენიშვნა ლ. ასათიანის ბიბლიოგრაფიული საძიებლის გამო

მაგრამ რატომღაც გამოტოვებულია ჩემი რამდენიმე წერილი, რომელიც ლ. ასათიანის სახლ-მუზეუმის დაარსებას ეხება. ამის შესახებ შეიძლება არაფერი მეთქვა, რომ ეს შემთხვევითი იყოს და აი რატომ, ამ ბიბლიოგრაფიული საძიებლის მე-9 გვერდზე შეტანილია მ. ალავიძის სტატია „უკვდავი მესიტყვე", რომელიც ცაგერის რაიონულმა გაზეთმა „კომუნიზმის სხივმა" დასტამბა 1967 წლის თებერვალში. აქვე ამავე ნომერში, ამ წერილის გვერდით, არის ჩემი წერილი „შევქმნათ ლადოს სახლ-მუზეუმი". ეს არის საერთოდ პირველი წერილი, რომელიც ლადოს სახლ-მუზეუმის შექმნას ეხებოდა.

საინტერესოა მ. სამხარაძემ, რატომ არ შეიტანა ეს მასალა ბიბლიოგრაფიულ საძიებელში? ნუთუ ამას არ იმსახურებს ეს წერილი? გაზეთის ერთსა და იმავე გვერდზე დაბეჭდილი ორი წერილიდან ერთი შეტანილია, მეორე კი არა. და შემდეგ 1968 წლის 25 ივლისს ასევე „კომუნიზმის სხივში" კვლავ დაიბეჭდა ჩემი წერილი „კვლავ იგიზგიზოს ლადოსეულმა კერამ". უნდა ვიფიქროთ, რომ შემდგენელს ესეც გამორჩა? შემდგენელს შეიძლება ვერ ენახა ამავე თემაზე დაწერილი ჩემი მესამე წერილი, რომელიც 1968 წელს გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტში" დაიბეჭდა.

ნუთუ ასე უპასუხისმგებლოდ მოიქცნენ ბიბლიოგრაფიული საძიებლის შემდგენელნი? მე მგონია არა. აქ სხვა ხელი ურევია, რომელიც კულისებიდან კარნახობდა მათ. ეს ბიბლიოგრაფიული საძიებელი სულაც არ შეუდგენია სამხარაძეს. იგი მას შედგენილი მიუტანეს და ხელის მოწერა სთხოვეს. მარტო ხელისმოწერით ლ. ასათიანის ბიბლიოგრაფის ტიტულის მიღებაზე უარს აბა, ვინ იტყოდა.

სხვისი ხელის მოწერა ამ საძიებელზე იმიტომ იყო საჭირო, რომ ნამდვილ ავტორს თავი არ გამოევლინა ან განგებ დაშვებულ შეცდომაში არ დაედოთ ბრალი.

ლ. ასათიანის ბიბლიოგრაფიულ საძიებელზე მუშაობა გრძელდება და კვლავ გამოიცემა. ამიტომ კარგი იქნება თუ გაითვალისწინებენ ავტორები ჩვენს წინადადებებს და მასში მოხვდება რაიონულ გაზეთში გამოქვეყნებული ყველა მასალა.

ჯ. სალინაძე.

ჩვენ გვწერენ

• • •

მადლობა

65 წლის კაცი ვარ, 28 წელი ვიმუშავე მიწისქვეშა სამუშაოებზე, ბევრი რამ გადამხდენია, მაგრამ ყველაზე მძიმე მდგომარეობაში აღმოვჩნდი მიმდინარე წლის მარტის ბოლო რიცხვებში. დამეწყო სულის ხუთვა, რაც გამოუწვევია სისხლის მაღალ წნევას. მე შოკში ჩავარდნილს არაფერი მახსოვს, საშველად მოუხმიათ სოფლის ექთნები მერი ჩხეტიანი და მერი გიორბელიძე. მათ მოიტანეს მედიკამენტები. 3 საათზე მეტ ხანს გაგრძელებულა სიცოცხლისათვის ბრძოლა.

მერი ჩხეტიანი 35 წელია ემსახურება ოყურეშის უბნის მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის საქმეს. ჩემნაირად ბევრს დაუბრუნა სიხარული და მხნეობა.

მადლობა მერი ჩხეტიანს და მერი გიორბელიძეს. ოყურეშელები იმედით შევყურებთ მათ.

ლუდუკი მუშკუდიანი.
პენსიონერი.

ქუთაისის საავტომობილო ქარხანაში არა ერთი სიახლე ინერგება უკანასკნელ წლებში, უმჯობესდება გამოშვებული ავტომანქანების ტექნიკური მაჩვენებელი. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სოფლის სამუშაოებისათვის განკუთვნილი მანქანების გამოშვებას.

სურათზე: ახალი მარკის ქუთაისური ავტომანქანები.

№45 (6272) 14 აპრილი 1990წ.

ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომა

15 აპრილი

ქრისტეს მიერ საყვარელნო! ღვთით კურთხეულო ჩვენო სამწყსოვ! ხვალ საზეიმოდ იგუგუნებენ სალიტანიო ზარები. ისინი მსოფლიოს აუწყებენ ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომის დიდებულ დღესასწაულს. ზეიმობს წმინდა ეკლესია თავისი ფუძემდებლის აღდგომას მკვდრეთით. სიხარულს დაუსადგურებია ყოველი ჩვენგანის სულსა და გულში. ამ ზემიწიერი სიხარულით აღვსილმა მინდა მოგილოცოთ და გახაროთ ყველას: ქრისტე აღსდგა მკვდრეთით!

ბრწყინვალეა და საიდუმლო დღეს ქრისტეს აღდგომის დღესასწაული. ეს არის ზეიმი ჭეშმარიტი სიკეთისა და სიყვარულის. ქრისტეს აღდგომასთან ერთად აღსდგა რწმენა და სასოება ჩვენი იესო მაცხოვრისადმი, რწმენა შემოქმედის. დღეს ჩვენში აღსდგება იმედი იმისა, რომ არ მოაკლდება ქვეყანას მშვიდობა და სიყვარული აწდამარადის.

მაინც რატომ არის ეს დღე ასე მნიშვნელოვანი ჩვენთვის, რატომ არის, რომ ქრისტეს აღდგომის დღეს ადამიანს ეუფლება სულ სხვა სიხარული: სიხარული არამიწიერი, ენით გამოუთქმელი? საიდუმლო დღევანდელი დღისა არის თვით დღესასწაულის აღმნიშვნელ სიტყვაში—აღდგომა. ...რა ბევრის მთქმელია ეს სიტყვა ყოველი ჩვენთაგანისათვის. ეს ხომ განახლება არის, ეს ხომ დაუსრულებელი სიცოცხლე და უკვდავება ჩვენი სულების. დიახ, ქრისტემ თავისი ბრწყინვალე აღდგომით დაამარცხა სიკვდილი და მოუტანა ადამიანებს ცხოვრება დაუსრულებელი. უფალი აღსდგა მკვდრეთით და მოგვცა მაგალითი საყოველთაო აღდგომის, ჩვენი ხელახალი დაბადების.

სიცოცხლე ყველაზე ძვირფასი ნიჭია საყვარელნო, რომელიც აქვს ღვთისაგან კაცს მომადლებული. უკვდავად შექმნილ ადამიანს საუკუნეების განმავლობაში ზარავდა განცდა სიკვდილის, რომელიც ქვეყნად შემოვიდა კაცთა შეცოდებით. ადამიანს არ ყოფნიდა ძალა იმისა, რომ დაემარცხებინა იგი. ასე გმინავდა მის ულელქვეშ კაცობრიობა საუკუნეების განმავლობაში. საჭირო იყო დიდი ძალა, დიდი შემწე, რომ წინ აღდგომოდა სიკვდილს და დაეთრგუნა იგი ეს ძალა უნდა ყოფილიყო აღთქმული მესია, მხსნელი ქვეყნიერებისა—იესო მაცხოვარი. სწორედ მან ერთმა შესძლო შეესვა ადამიანთა ათასგვარი უკეთურებით სავსე მწარე სასმისი და დაეთმინა სიკვდილი ქვეყნიური. მაგრამ ეს არ იყო მთავარი: ღმერთის წამება და სიკვდილი დიდი არაფერი გმირობა არის, პირიქით, უხერხულიცაა ამგვარი მოქმედება ღვთისათვის. მთავარზე უმთავრესი იყო ის, რომ საშინელი ტანჯვა-წამებისა და სიკვდილის შემდგომ უფალი მესამე დღეს ხორციელად აღსდგა მკვდრეთით. აი, ეს იყო გამარჯვება დიდი, აი, ეს იყო ის, რაზეც ოცნებობდა ადამიანი. ეს იყო საკვირველი ძლევა ბოროტებისა და სიკვდილის.

მაგრამ, საყვარელნო, როგორც ვნახეთ, ქრისტეს აღდგომას წინ უძღოდა მისი ქვეყნიური სიკვდილი, სიკვდილთან ერთად ქრისტემ მოაკვდინა ძველი ადამიანი—ადამიანი ცოდვილი და ჭუჭყიანი, შემდგომ კი აღსდგა ვითარცა განწმენდილი და განახლებული, აღსდგა ისეთი, როგორიც იყო საჭირო უკვდავი ცხოვრებისათვის.

ამიტომ ჩვენც, როდესაც ვხარობთ ქრისტეს აღდგომით უნდა ვიფიქროთ, თუ როგორ მოვაკვდინოთ ჩვენი ცხოვრების მანკიერი მხარეები. უნდა ვიფიქროთ იმაზე, როგორ განვიწმინდოთ, როგორ განვაახლოთ ბუნება ჩვენი, რომ განწმენდილნი და განახლებულნი ღირსნი გავხდეთ ქრისტესთან ერთად ბრწყინვალე აღდგომის, დაუსრულებელი სიხარულისა და ბედნიერების მოპოვების.

ერთხელ კიდევ გილოცავთ ქრისტეს აღდგომის დღეს

ჭეშმარიტად აღსდგა ქრისტე!

ღმერთმა მრავალ აღდგომას დაასწროს ქართული სამოციქულო ეკლესია, მამული და ერი ჩვენი, ამინ!

მამა ილია (ხეცურიანი)

ლენტეხის ღვთისმშობლის ეკლესიის წინამძღვარი, ცაგერის ღვთისმშობლის მიძინების ეკლესიის მღვდელმსახური.

რაზეა დამოკიდებული ნიტრატების არსებობა ნიადაგში

ფირმა „იმპერიალ კემიკალ ინდასტრიზის" სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ ნიადაგში ნიტრატების გადიდებული შემცველობის რაიონებში ცალკეული მინდვრის ოპერაციების ჩატარებისას ზოგიერთი შეზღუდვა, ალბათ, ხელს არ შეუწყობს ამ ნივთიერებათა კონცენტრაციის შემცირებას სასმელი წყლის წყაროებში. მათი აზრით, შედარებით უფრო მნიშვნელოვანი ფაქტორია ნიადაგის საშემოდგომო კულტივაციის ჩატარების ვადების განსაზღვრა შემდგომი კულტურის თესვისათვის სათესლე კალაპოტის მოსამზადებლად.

მეორე წელია ამ ფირმის მკვლევარები ლინკოლნშირის საგრაფოში ზედიზედ ატარებენ საველე ცდებს, რომელთა შედეგები გვიჩვენებენ, რომ გვიანმა საშემოდგომო ხვნამ შეიძლება ხელი შეუწყოს ნიადაგში ნიტრატების კონცენტრაციის მნიშვნელოვან შემცირებას. დადგენილია, რომ ხსნად ფორმაში მინერალიზებული ნიტრატების ჩამოყალიბებას, რომელთაც შეიძლება განიცადონ გამოტუტვა და მოხვდნენ სადრენაჟო სისტემაში ნიადაგის ტენით სრული გაჯერებისთვის შემდეგ, რაც ჩვეულებრივ წლის დასაწყისში შეინიშნება, უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე რომელიმე სხვა ფაქტორს.

წელს მკვლევარებმა შეადარეს მინერალიზებული ნიტრატების რაოდენობა, რომელიც გამოთავისუფლდა ხვნის შედეგად 3 აგვისტოდან და 15 სექტემბრამდე სათესლე კალაპოტის მომზადებისას საშემოდგომო ხორბლის დასათესად 18 სექტემბერს, და აღმოჩნდა, რომ 14 სექტემბერს დილით მოხნული ნიადაგი შეიცავდა თითქმის 50 კილოგრამ აზოტს ჰექტარზე, ხოლო ნიადაგში, რომელიც არ იყო კულტივირებული, აზოტის კონცენტრაცია ჰექტარზე კვლავ 15 კილოგრამს შეადგენდა. 12 ოქტომბრისათვის ნიტრატების შემცველობა მოხნულ ნიადაგში დილით 70 კილოგრამამდე გაიზარდა ჰექტარზე, გვიან ნახნავში კი შენარჩუნებული იყო ჰექტარზე 30 კილოგრამის დონეზე.

მაშასადამე, უშუალოდ თესვის წინ ნიადაგის კულტივაციის ჩატარება ქმნის პირობებს, რომლის დროსაც მცენარეებს საშუალება ეძლევათ ნიადაგიდან მიიღონ მისაწვდომი საკვები ნივთიერება, მინერალური ნიტრატების ჩათვლით, და მხოლოდ კულტივაციის ვადების შეცვლის ანგარიშზე სადრენაჟო სისტემის მეშვეობით ნიტრატების გამოტუტვა შეიძლება შემცირდეს 45-50 კილოგრამამდე ჰექტარზე.

ცაგერის სამუსიკო სკოლა და ლაჯანის ფილიალი აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1990-1991 სასწავლო წლისათვის

ფორტეპიანოს და ვიოლინოს პირველ კლასში ფორტეპიანოს განყოფილებაზე მიიღებიან 7-8 წლის, ხოლო ვიოლინოს განყოფილებაზე 7-8-9 წლის ბავშვები.

განცხადებას უნდა დაერთოს შემდეგი საბუთები: ცნობა ჯანმრთელობის შესახებ, ცნობა მშობელთა საქმიანობის შესახებ, ცნობა სკოლიდან, დაბადების მოწმობის ასლი, ორი ცალი ფოტოსურათი (ზომით 3X4), ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან.

განცხადებები მიიღება 16 აპრილიდან 22 მაისის ჩათვლით, კონსულტაციები ჩატარდება 25-26 მაისს. მისაღები გამოცდები მოეწყობა 28 მაისს.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეგიძლიათ შემდეგ მისამართზე: **ლენინის ქ. №39. ცაგერის სამუსიკო სკოლა ტელეფონი 26-00.**

ცაგერის სამუსიკო სკოლის დირექცია.

გილოცავთ ახალდაქორწინებულებს!

ნონა გრიშას ასულ მეშველიანს
გენადი შოთას ძე ჭაბუკიანს

გილოცავთ ბედნიერებას. დღეგრძელი ყოფილიყოს თქვენი ახლადშექმნილი ოჯახი. გემრავლებინოთ ერი.

ცაგერის საკოლმეურნეობათშორისო სამშენებლო ორგანიზაციის თანამშრომლები.

ნონა გრიშას ასულ მეშველიანს
გენადი შოთას ძე ჭაბუკიანს

გილოცავთ ბედნიერებას. გისურვებთ ჯანსაღი ქართული ოჯახის შექმნას, შვილთა სიმრავლეს.

ცირა ლიპარტელიანი, გენადი სილაგაძე.

გილოცავთ

თალიკო გალაქტიონის ასულ სილაგაძეს

გილოცავთ დაბადებიდან 50 წლის შესრულებას. გისურვებთ ხანგრძლივ სიცოცხლეს, ნაყოფიერ შრომასაქმიანობას.

ცაგერის №91 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის მოსწავლეები.

პავლე ბახტაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაიონის ინტელიგენციის რიგებს გამოაკლდა ღვაწლმოსილი ინჟინერი, შესანიშნავი მოქალაქე პავლე კონსტანტინეს ძე ბახტაძე.

დაიბადა 1910 წელს წულუკიძის რაიონის სოფელ კუხში.

შრომითი საქმიანობა ადრიდან დაიწყო. 1937 წელს დაამთავრა თბილისის ინდუსტრიული ინსტიტუტი ინჟინერ-ენერგეტიკოსის სპეციალობით.

პ. კ. ბახტაძე სხვადასხვა დროს მუშაობდა რიონჰესში, ქუთაისში — მთავარი ინჟინრის, მორიგე ინჟინრის, საამქროს უფროსის თანამდებობებზე.

1966 წელს გადმოიყვანეს ლაჯანურჰესში მთავარ ინჟინრად.

1975 წლიდან 1978 წლამდე მუშაობდა ლაჯანურჰესის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლად. 1978-1982 წლებში ისევ მთავარი ინჟინერია, შემდეგ მუშაობდა ელექტროსადგურის, ელექტროლაბორატორიის ოსტატად. პ. კ. ბახტაძე წლების მანძილზე იყო ლაჯანურჰესის პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივანი.

1987 წლიდან პ. კ. ბახტაძე პენსიაზეა.

დაჯილდოებული იყო მედლებით.

წავიდა ჩვენგან ერთი დახვეწილი ინტელიგენტი, უანგარო მოქალაქე და კომუნისტი.

რაიონის საზოგადოებრიობა პატივს მიაგებს მის ხსოვნას.

სამამულო ომისა და შრომის ვეტერანთა რაიონული საბჭო.

რედაქტორი
ნ. ნემსაძე.

კარლო, ჯემალ ცვარიანები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

გალინე ცვარიანი.

ძმები შოთა, გერონტი, გრიშა, და ლიდა, რძლები მანანა თუთისანი, ქუქუნა შკუბულიანი, თამარ ხეცურიანი, ძმისშვილები მერაბი, გულო, დისშვილები ნანა, დალი, დეიდაშვილები, მამიდაშვილები, ბიძაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

გალინე ოქროპირის ასული ცვარიანი.

დაკრძალვა 17 აპრილს, სამშაბათს ქ. ცაგერში.

ცაგერის საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი და ტექნიკური პერსონალი თანაუგრძნობენ ქუქუნა - ჯიქიას სიძის

ანტონ ნიკოლოზის ძე შაქრიაშვილის

გარდაცვალების გამო.

ჩვენი მისამართი: 384106 ცაგერი, ლენინის ქ. №56. ტელეფონები: რედაქტორის—22-31, რედაქტორის მოადგილის — 22-35, პასუხისმგებელი მდივნის—22-34, განყოფილებების: სოფლის მეურნეობის—22-36, მშრომელთა წერილების—22-41, საკორექტოროს—22-48, სტამბის დირექტორის —22-17, საამწყობრო საამქროს—22-23,
გაზეთი გამოდის სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს, შეკვეთა 26 ინდექსი 66539, ტირაჟი 4660

საქართველოს სსრ ბეჭვდითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის ქუთაისის პოლიგრაფიული გაერთიანების ცაგერის სტამბა.